ოჯახი და საქართველოს დემოგრაფიული ვითარება

ციალა ლომაია,
სტუ-ს და კსუ-ს პროფესორი
ქეთინო შონია
ქუთაისის აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
მასწავლებელი

საქართველოში თანამედროვე დემოგრაფიული ვითარება მეტად მწვავეა. მძიმე ეკონომიკურმა პირობებმა და ქვეყანაში შექმნილმა არასტაბილურმა ვითარებამ კრიზისულ ზღვრამდე შეამცირა შობადობა და გაზარდა მოკვდავობა. თუ მე-20 საუკუნის 80-იან წლებში საქართველოში ყოველწლიურად საშუალოდ 94 ათასი ბავშვი იბადებოდა, ამჟამად ახალშობილთა რაოდენობა თითქმის განახევრდა.

ოჯახებს უჭირთ მატერიალურად და უკვე გაცილებით ნაკლები ბავშვი იბადება, ვიდრე საჭიროა თაობის რაოდენობრივი შეცვლისათვის. მეტად ინტენსიური გახდა გარე მიგრაციული პროცესები, ძირითადად მძიმე ეკონომიკური პირობების გამო უკანასკნელ წლებში ქვეყანა მოლიონამდე ადამიანმა დატოვა და ფიზიკური არსებობისათვის სახსრის საშოვნელად საცხოვრებლად სხვა ქვეყანას მიაშურა. ყოველივე ამის შედეგად, მთელ მოსახლეობაში მცირდება ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფისა და 60 წელზე უხნესი მოსახლეობის წილი, ე.ი მოსახლეობა დემოგრაფიულად ბერდება. ეს პროცესი განსაკუთრებით გამოიკვეთა უკანასკნელ წლებში და ყველაზე მეტად თავი იჩინა ქართულ მოსახლეობაში. ვითარება იმდენად რთულია, რომ ეკონომიკური პირობების არსებითი გაუმჯობესების შემთხვევაშიც კი, ახლო მომავალში მდგომარეობის გამოსწორებას არ უნდა ველოდოთ.

ქართველი ერი ფიზიკური წყვეტის, გადაშენების საშიშროების წინაშე დგას. ერთი და იმავე რაოდენობით თაობათა განახლება სულ უფრო ძნელი ხდება, რაც სულიერი უწყვეტობის პროცესის საგრძნობ შენელებასთან შედარებით ბევრად უფრო სახიფათოა. ამდენად, ფიზიკური უწყვეტობის პრიმატი აშკარაა, რადგან ერის სულიერი ცხოვრების საგრძნობი მოდუნებაც კი შეიძლება გადაილახოს. მდიდარი სულიერი მემკვიდრეობის მქონე ერები, ჟამთა ვითარების გამო, მათი კულტურული ცხოვრების დაცემისა და თითქმის შეწყვეტის შემთხვევაში მაინც ახერხებენ კულტურული მემკვიდრეობის აღორძინებას, სულიერების დაბრუნებასა და განვითარებას. ამას განაპირობებს არა მარტო ერის მდიდარი სულიერი წარსული, არამედ ისიც, რომ ერის გენოფონდი ამ მდიდარი სულიერების იმანენტური მატარებელია. შუა საუკუნეებში მონღოლების, თემურ-ლენგისა და სხვა მრავალი მტრის მიერ აოხრებულ და გაპარტახებულ საქართველოში თითქმის შეწყდა სულიერი ცხოვრება, მაგრამ შემდეგ საუკუნეებში მაინც შესაძლებელი გახდა მისი აღორძინება, რადგან არსებობდა სულიერი ფასეულობების მდიდარი დასაყრდენი.

ოფიციალური მონაცემების მიხედვით საქართველოში ყველაზე მეტი ბავშვი 1961წ. დაიბადა - 104 ათასი. 1960-1990 წლებში საშუალოდ ყოველწლიურად 93 ათასი ბავშვი იბადებოდა. შობადობის მკვეთრი შემცირება 1992 წლიდან დაიწყო. 2011 წელს საქართველოში 46 ათასი ბავშვი დაიბადა და შობადობა წინა წლებთან შედარებით 2-ჯერ შემცირდა. ძირითადად ამის შედეგად უკანასკნელ წლებში ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა მოსახლეობის ბუნებრივი მატება. მე-2 მსოფლიო ომის პერიოდშიც კი, კერძოდ 1941-1945 წლებში ბუნებრივი მატება 135 ათას კაცს შეადგენდა, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი 2002-2012 წლებში მხოლოდ 5,8 ათას კაცს უდრიდა საშუალოდ.

მეტად საგულისხმოა ის გარემოება, რომ სამხრეთ კავკავსიაში, სადაც მკვიდრი ერები - ქართველები, სომხები და აზერბაიჯანელები ცხოვრობენ, ქართველთა დემოგრაფიული განვითარება არსებითად განსხვავდება სომხებისა და აზერბაიჯანელების დემოგრაფიული განვითარების მაჩვენებლისგან. ამავე დროს, მხედველობაშია მისაღები, რომ სამხრეთ კავკასია ერთი მთლიანი რეგიონია, სადაც ბუნებრივი და კლიმატური პირობები, ზოგადი ცხოვრების წესი რამდენამდე უახლოვდება ერთმანეთს. მიუხედავად ამისა, შობადობის, მომკვდავობისა და ბუნებრივი მატების მაჩვენებელი საქართველოში გაცილებით უარესი იყო და არის, ვიდრე მეზობელ ქვეყნებში. მაგალითად 1926 წელს მოსახლეობის 1000 კაცზე ბუნებრივი მატება სომხეთში 36,4 კაცს უდრიდა, ხოლო საქართველოში 23,2 კაცს. 2005 წელს ეს მაჩვენებელი საქართველოში 0,8 კაცს შეადგენდა, ხოლო სომხეთსა და აზერბაიჯანში შესაბამისად 3,5 და 10,9 კაცს უდრიდა. საქართველოში შობადობის

სისტემატურ შემცირებას კიდევ უფრო ცხადად გვიჩვენებს შობადობის დონის განმსაზღვრელი, როგორიცაა შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი და მოსახლეობის გამრავლების რეჟიმის ნეტო კოეფიციენტი. კერძოდ, 1969-1970 წლებში შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი 2,2 ბავშვს უდრიდა, 1989 წელს-2,1 ბავშვს, ხოლო 2005 -2012 წლებში საშუალოდ 1,3 ბავშვს, რაც არასაკმარისია მშობელთა თაობის რაოდენობრივი განახლებისათვის. ასევე სისტემატიკურად მცირდება ნეტო კოეფიციენტიც. 1929 წელს იგი 1,003 უდრიდა, ესე იგი ერთი ქალი ნაყოფიერების ასაკში დაახლოებით ერთ გოგონას ბადებდა, ყოველი ათასი დედის შესაცვლელად 1003 გოგონა მოდიოდა. უკანასკნელ წლებში ნეტო კოეფიციენტი მნიშვნელოვნად შემცირდა და მან 2012 წელს 0,662 შეადგინა, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველი ათასი დედის შესაცვლელად მხოლოდ 662 გოგონა მოდის. ამრიგად, შობადობის თანამედროვე პარამეტრები თითქმის ორჯერ მცირეა, ვიდრე თაობათა შეცვლისათვის არის საჭირო. როდესაც ქალი თავისი სიცოცხლის განმავლობაში 1,3 ბავშვს აჩენს (ზოგიერთი წლებში ეს მაჩვენებელი გაცილებით ნაკლებია) შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივად ხდება ერთი მშობლის ანაზღაურება. ეს პროცესი გამოკვეთილად, თუ რადიკალური ზომები არ იქნა მიღებული, 8-10 წლის შემდეგ იჩენს თავს და პიკს 2020 წლის დასაწყისში მიაღწევს. აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, რომელიც ხანგრძლივ პერიოდზე იქნება გათვალისწინებული. ეს პროცესი შეიძლება შენელდეს და მხოლოდ საკმაო დროის გავლის შემდეგ იქნეს მიღწეული სასურველი შედეგი. საკმარისია ითქვას, რომ 1981-1990 წლებში საქართველოში 456 ათასი გოგონა დაიბადა, ხოლო 1995-2012 წლებში მხოლოდ 238 ათასი გოგონა, ანუ 218 ათასით ნაკლები. ამრიგად, ძირითადად ეკონომიკური პირობების საგრძნობლად გაუარესების შედეგად განვლილ პერიოდში შობადობის კლების კვალობაზე მკვეთრად შემცირდა დაბადებული ქალების რაოდენობა და ამის გამო შობადობის შემდგომ შემცირებას, თუნდაც ეკონომიკური პირობების არსებითი გაუმჯობესების შემთხვევაში, ქვეყანა უკვე ვეღარ აცდება.

აღსანიშნავია ისიც, რომ მცირეშვილიანობა მასობრივად ვრცელდება ქართულ მოსახლეობაში. სულ უფრო მცირდება იმ დედების რიცხვი, რომლებსაც სამი და მეტი შვილი ჰყავს. კერძოდ, საქართველოში 1960 წელს მესამე და მეტი ბავშვის დაბადების წილი მთელ დაბადებულთა 36,5 %-ს შეადგენდა, 2007 წელს ეს მაჩვენებელი 10,8 %-ს უდრიდა, 2012 წელს -20,5%-ს. მთელ დაბადებულებში განსაკუთრებით მაღალია პირველი შვილის დაბადების წილი. მაგალითად, ამავე წელს 29883 ბავშვი დედებისათვის პირველი შვილი იყო (60,6%). ანალოგიური მაჩვენებელი 1960 წელს 34,7 %-ს შეადგენდა. ამრიგად, შობადობის დაბალი დონე საქართველოში დაკავშირებულია ერთბავშვიანი ოჯახების მასობრივ გავრცელებასთან, შესაბამისად დაბადებულთა საერთო რაოდენობაში პირველი შვილის უაღრესად მაღალ წილთან. ამ მაჩვენებლებით საქართველომ უკვე გაუსწრო ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს; ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველი შვილი შეადგენს დაბადებულთა მთელი რაოდენობის 40%-ს, შვედეთში - 45%-ს.

საქართველოში ტრადიციულად მოკვდავობის დონე დაბალი იყო, როგორც მეზობელ, ისე ევროპის უმრავლეს ქვეყნებთან შედარებით, უკანასკნელ წლებში კი იგი მნიშვნელოვნად გაიზარდა. კერძოდ, თუ მოსახლეობის 1000 სულზე 1960 წელს 6,5 ბავშვი გარდაიცვალა, ეს მაჩვენებელი 2010 წელს 11,3-ს უდრიდა. მაღალია ბავშვთა მოკვდავობის დონეც, მაგალითად 2002 წელს 40572 ბავშვი დაიბადა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ მათი რაოდენობა მნიშვნელოვნად ნაკლები იყო, რადგან მაღალია ერთ წლამდე ბავშვების მოკვდავობა. კერძოდ, 2012 წელს ერთ წლამდე ასაკში 1100 ბავშვი გარდაიცვალა, ანუ ყოველ 1000 დაბადებულ ბავშვზე 20,8 ბავშვი, 2010 წელს ეს მაჩვენებელი 24,8 პრომილეს უდრიდა და ყველაზე მაღალი იყო პოსტსაბჭოთა სივრცეში. კიდევ უფრო შემზარავ შთაბეჭდილებას ტოვებს ეს ციფრები, თუ ბავშვთა მოკვდავობას ხანგრძლივ პერიოდში განვიხილავთ. კერძოდ, 1980-2004 წლებში ანუ 25 წლის განმავლობაში 43940 ბავშვი გარდაიცვალა ერთი წლის ასაკში. თითქმის იმდენივე, რამდენი ბავშვიც 2012 წელს ქვეყანაში დაიბადა. ასევე მაღალია, მკვდრად დაბადებულთა რიცხვი, ამავე წელს 722 ბავშვი მკვდარი დაიბადა, ანუ ყოველ 1000 დაბადებულზე მკვდარშობადობის მაჩვენებელი 15,3 უდრიდა. 1980-2010 წლებში კი მკვდარი დაიბადა 16500 ბავშვი. ამრიგად, ამ პერიოდში ერთ წლამდე გარდაცვლილ ბავშვთა და მკვდრადშობილთა რაოდენობამ 60440 ბავშვი შეადგინა. ბავშვთა მოკვდავობის მაჩვენებელი საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით 2010 წელს მნიშვნელოვნად შემცირდა და ყოველ 1000 დაბადებულზე ამ მაჩვენებელმა 13,3 ბავშვი შეადგინა. როგორც ჩანს ეს მაჩვენებელი არ არის ზუსტი. კერძოდ 2005 წელს საქართველოში გაეროს მოსახლეობის ფონდის ხელშეწყობით ჩატარდა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა. ამ გამოკვლევის მიხედვით, ჩვილ ბავშვთა მოკვდავობის კოეფიციენტი 1000 ცოცხალ შობილზე 29,0 ბავშვს უდრიდა, მაშინ როდესაც ხელისუფლების ოფიციალური მონაცე-

მებით ამავე წელს 1000 ცოცხალშობილზე 19,7 ბავშვი გარდაიცვალა.

ზემოთ აღნიშნული პრობლემების გამო ქვეყნის მოსახლეობა ყოველწლიურად მცირდება. თუ ოფიციალური მონაცემებით საქართველოს მოსახლეობა 1989 წელს შეადგენდა 5,4 მილიონ ადამიანზე მეტს, 2007-2012 წელს ქვეყნის მოსახლეობამ შეადგინა 4,3 მილიონი ადამიანი.

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებელია განხორციელდეს სპეციალური საგანგებო ღონისძიებები: ერთი მხრივ, აუცილებელია საჭირო რაოდენობის მატერიალური და ფინანსური რესურსების მობილიზება, მეორეს მხრივ, საზოგადოებისათვის სასურველი რეპროდუქციული განწყობის ჩამოყალიბება. პატრიარქის გადაწყვეტილება იყოს ყველა ოჯახის მესამე შვილის ნათლია, ბოლო წლებში შთამბეჭდავ შედეგებს აღწევს. მომრავლდა სამშვილიანთა რიცხვი. ფინანსური რესურსების მობილიზება საჭირო შემდეგი ღონისძიებების გასატარებლად:

- უფასო მშობიარობა, რომელიც გულისხმობს მშობიარობისათვის ვაუჩერების დარიგებას

მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს დემოგრაფიული მაჩვენებლების დინამიკა

ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები									
წლები	*2005*	*2006*	*2007*	*2008*	*2009*	*2010*	*2011*	*2012*	*2013*
მოსახლეობის რიცხოვნობა 1იანვრისათვის(ათასი კაცი)	4 321.5	4 401.3	4 394.7	4 382.1	4 385.4	4 436.4	4 469.2	4 497.6	4 483.8
მათ შორის:									
ქალაქად (ათასი კაცი)	2 257.5	2 310.4	2 308.9	2 303.8	2 309.1	2 350.5	2 371.3	2 391.7	2 387.0
სოფლად (ათასი კაცი)	2 064.0	2 090.9	2 085.8	2 078.3	2 076.3	2 085.9	2 097.9	2 105.9	2 096.8
ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა	46 512	47 795	49 287	56 565	63 377	62 585	58 014	57 031	
გარდაცვლილთა რიცხოვნობა	40 721	42 255	41 178	43 011	46 625	47 864	49 818	49 348	
მათ შორის:									
1 წლამდე გარდაცვალება	916	753	656	959	945	701	703	715	
ბუნებრივი მატება	5 791	5 540	8 109	13 554	16 752	14 721	8 196	7 683	
მკვდრად შობადობა	739	712	632	660	484	653	563	664	
ქორწინებათა რიცხვი	18 012	21 845	24 891	31 414	31 752	34 675	30 863	30 412	
განქორწინებათა რიცხვი	1 928	2 060	2 325	3 189	4 030	4 726	5 850	7 136	
სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას	74.0	74.2	75.1	74.2	73.6	74.4	74.5	74.7	
მაჩვენებლები (კოეფიციენტები):									
შობადობა (ათას კაცზე)	10.7	10.9	11.2	12.9	14.4	14.1	12.9	11.7	
მოკვდაობა (ათას კაცზე)	9.3	9.6	9.4	9.8	10.6	10.7	11.1	11.2	
1 წლამდე მოკვდაობა (ათას ცოცხლად)	19.7	15.8	13.3	17.0	14.9	11.2	12.1	14.5	

სახელმწიფოს მიერ. სახელმწიფო პროგრამით მშობიარობა ახალი ხელისუფლების მიერ პრივილეგირებულია. ქვეყანაში ბოლო წლების მონაცემებით საშუალოდ იბადება 50 ათასამდე ბავშვი, აქედან სამედიცინო ჩვენებებით საკეისრო კვეთას ექვემდებარება 4 ათასამდე მშობიარე. უფასო მშობიარობისათვის საჭიროა საქართველოში ბიუჯეტიდან გამოიყოს 15,5 მილიონი ლარი.

- ბავშვთა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ბავშვების სამედიცინო მომსახურების სრული დაფინანსება, რომლისათვისაც საჭიროა დამატებით 2 მილიონი ლარის გამოყოფა;

ქვემოთ მოცემულ ცხრილში გადმოცემულია 2005-2013 წლებში ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლების დინამიკა:

თუ 2005 წელს მოსახლეობის რაოდენობა 321,5 ათასი კაცი იყო, 2012 წ-ს 4997,6 ათას კაცამდე, ხოლო 2013 წ-ს 483,8 ათას კაცამდე გაიზარდა. იზრდება ქალაქის მოსახლეობა და შესაბამისად მცირდება სოფლის მოსახლეობა, რაც დღევანდელი ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარეობს. ბოლო სამ წელიწადში შობადობა კლების მიმართულებით წავიდა. თუ 2010 წელს 62 000 კაცი დაიბადა, 2012 წ-ს 57 000, რაც ერის დაბერებას უწყობს ხელს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ქორწინებათა რიცხვს 2010, 2011, 2012 წლებში განქორწინებათა რაოდენობა ჭარბობს. როგორც ცხრილიდან ჩანს, განქორწინებათა რიცხვი შესაბამის წლებში 4726-დან 7136-მდე მერყეობს, როცა ქორწინებათა როდენობა 675-დან 112-მდე ჩამოვიდა. კომენტარი ზედმეტია. ზემოთ აღნიშნულის მიზეზი იწყება სოციალური პრობლემებით და მთავრდება ეკონომიკურით. ახალგაზრდებს სიდუხჭირისა და უმუშევრობის გამო უჭირთ ოჯახების შექმნა და შენახვა.

დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებაში უდიდესი როლი ოჯახს ეკუთვნის, რადგან თითოეული ოჯახი პატარა სახელმწიფოა, რომელიც ერის კვლავწარმოებაში თავის სიტყვას ამბობს. საბაზრო ურთიერთობების დანერგვამ, სოციალურმა ტრანსფორმაციამ, ეკონომიკურმა არასტაბილურობამ, ცხოვრების პირობების, სტილის, ნორმების, ქცევის შეცვლამ დიდი გავლენა იქონია ქართულ ოჯახზე. დაიწყო ტრადიციული ნიშნების ქრობა,შემცირდა ქორწინებათა რიცხვი, გაიზარდა განქორწინებულთა რაოდენობა, შემცირდა შობადობა, რაც საწინდარია ზემოთ აღნიშნული დემოგრაფიული ვითარებისა. საოჯახო მეურნეობას ჯერ კიდევ ნეოკლასიკოსები სწავლობდნენ. ისეთი მეცნიერები, როგორიც იყო სამუელსონი, ბეკერი, ბენ-პორატი და სხვები. ქართველი მეცნიერების მიერ ოჯახის პრობლემები ნაკლებად არის შესწავლილი. დროა, დავინტერესდეთ ოჯახისა და მისი პრობლემების შესწავლით, რომელსაც ვაწყდებით ქართულ რეალობაში. რაც უფრო ძლიერი და მდიდარია ოჯახური წარმოება, მით მეტია მისი წვლილი ქვეყნის კეთილდღეობაში. ოჯახი არის საზოგადოებისა და სახელმწიფოს სტაბილურობის გარანტი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თოთაძე ა, საქართველოს დემოგრაფიული განვითარების პრობლემები, ჟ. სოციალური ეკონომიკა, 1, 2012
2. დურგლიშვილი ნ. ცვლილებები სოციალურ გარემოში და ქართული ოჯახი, ჟ. ეკონომიკა 2, 2005
3. ლომაია ც. ოჯახის მენეჯმენტი ქართულ კულტურაში, ჟ. სოციალური ეკონომიკა 4, 2013
4. WEB SITE :WWW.STATISICS.GE
5. HTTP//WWW.CENSUS.GOV
6. HTTP//OECD.ORG/DATA-OECD

THE FAMILY AND THE DEMOGRAPHIC SITUATION OF GEORGIA

TSIALA LOMAIA - professor of GTU

QETINO SHONIA - teacher of Qutaisi A. Tsereteli State University

The paper defines the difficult demographic situation existing in Georgia that was caused by unstable situation in the country and the financial difficulties of the families; The migration processes and massive unemployment have contributed to the demographic aging of the population, which resulted in the problem of the same amount of generational renewal that could be solved by increasing the birth rate twice each year. According to 2012 data, every thousand mothers are replaced by 662 girls. To eliminate this condition, the author offers a long-term, active demographic policy to be carried out from the state's side with mobilizing material and financial resources and establishingreproductive sentiments desirable to the society. For the implementation of this function author emphasizes the role of family's stability and strength and its impact on the demographic prosperity of the country.